


ხელოვნების ნამუშევრების კონკურსი ბიოსამედიცინო მიმართულებების სტუდენტებისთვის



**წესები**

**რას გულისხმობს დნმ-ის დღესთან დაკავშირებული კონკურსი არტ გენომი**

60 წელზე მეტია, რაც ჯეიმს უოტსონმა და ფრენსის კრიკმა აღწერეს დნმ-ის ორმაგსპირალური სტრუქტურა. 25 აპრილი არის დნმ-ის საერთაშორისო დღე, რომელიც ადამიანის გენეტიკის ევროპის და აშშ-ს საზოგადოებებმა დააწესეს და მათივე ორგანიზებით მთელ მსოფლიოში აღინიშნება სხვადასხვა ღონისძიებით<sup>1</sup>.

წელს, მესამედ დნმ-ის დღესთან დაკავშირებით საქართველოში ჩატარდება ხელოვნების ნამუშევრების კონკურსი ბიოსამედიცინო პროფილის სტუდენტების მონაწილეობით. კონკურსის მიზანია გენეტიკის მიმართულებების პოპულარიზაცია საქართველოში; მეცნიერების მიმართ სტუდენტთა ინტერესის გაღვივება და შემოქმედებითი აზროვნების განვითარება. კონკურსი ეძღვნება ბიობანკების როლს ადამიანის ჯანმრთელობის გაუმჯობესებაში.

კონკურსის ორგანიზატორები არიან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტი და სამედიცინო გენეტიკის და ეპიგენეტიკის საქართველოს საზოგადოება.

**სანამ დაიწყებთ, გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ წესებს!**

**წესები და პირობები:**

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს უმაღლესი დაწესებულებების ბიოსამედიცინო მიმართულებების სტუდენტებს.

ერთ სტუდენტს შეუძლია მხოლოდ ერთი ნამუშევრის წარდგენა.

მონაწილეებს შესაძლებლობა ექნებათ წარმოადგინონ მათ მიერ შესრულებული ნამუშევრები ნახატის ან ციფრული გრაფიკის სახით.

- საკონკურსო ნამუშევარი მითითებულ თემაზე უნდა იყოს შესრულებული.
- საკონკურსო ნახატის ზომა არ უნდა აღემატებოდეს A3-ს (297 x 420 მმ).
- ნამუშევარი შესაძლებელია შესრულდეს როგორც ხელით (აკვარელი, პასტელი, აკრილი, ფანქარი, შერეული ტექნიკა და სხვა), ასევე ციფრული პროგრამის გამოყენებით.
- ციფრული ნამუშევარი უნდა იყოს მაღალი რეზოლუციის (300 dpi, 1080px x 1080px) და უნდა იყოს წარმოდგენილი JPEG, TIFF ან PNG ფორმატში.
- ხელით შესრულებული ნამუშევარი უნდა გამოგზავნოთ ელ. ფოსტაზე მაღალი რეზოლუციის ფოტოსურათის (სულ მცირე 300 dpi) სახით და წარმოადგინოთ ფიზიკურად თსსუ-ს მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტში (მის. ვაჟა-ფშაველას 29, მე-4 სართული).

- თითოეულ ნამუშევარს უნდა ახლდეს PDF - ის ფაილი, სადაც დატანილი იქნება შემდეგი სახის ინფორმაცია: მონაწილის სახელი, გვარი, სასწავლო დაწესებულება, ფაკულტეტი, კურსი, ელ. ფოსტა, მობილურის ნომერი და ნამუშევრის მოკლე აღწერა (მაქსიმუმ 150 სიტყვა).
- საკონკურსო ნამუშევრების მიღება შეწყდება **2025 წლის 18 აპრილს, 17:00 საათზე**. ნაშრომი უნდა გამოგზავნოთ ელ. ფოსტაზე (ხელით ნამუშევრის შემთხვევაში დამატებით უნდა წარადგინოთ ფიზიკური ნამუშევრები): dnaday.art@gmail.com, რის შემდეგაც მიიღებთ დადასტურების წერილს.
- ფაილებს უნდა მიაწიოთ სახელწოდება შემდეგი თანამიმდევრობით: **გვარი\_სახელი\_dnaday\_art\_2025** (გვარი, სახელი ინგლისურ ენაზე). **ნიმუში: Kiknadze\_Ana\_dnaday\_art\_2025;**
- ველში “**საგანი (subject)**” მიუთითეთ: **თქვენი გვარი\_სახელი (ინგლისურად)\_ dnaday\_art\_2025. ნიმუში: Kiknadze\_Ana\_dnaday\_art\_2025.**
- მიამაგრეთ JPEG, TIFF ან PNG ფაილი და გამოგზავნეთ.
- დაგვიანებით წარდგენილი ნამუშევრები არ განიხილება.

**კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ ქართულენოვანი და საერთაშორისო პროგრამების სტუდენტებს!**

საორგანიზაციო ჯგუფი უფლებამოსილია, არ განიხილოს ნამუშევარი, რომელიც არ შეესაბამება თემას, ზემოთ მითითებულ წესებსა და პირობებს, ასევე ზოგად ეთიკურ პრინციპებს.

კონკურსანტი კონკურსში მონაწილეობის მიღებით გამოხატავს თანხმობას და კონკურსის ორგანიზატორებს გადასცემს უფლებას, კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი ნამუშევარი შემდგომში გააზიაროს საჯაროდ და გამოიყენონ ღონისძიების მიზნებისათვის.

კონკურსის აუცილებელი პირობაა, რომ ნამუშევარი უნდა იყოს თქვენ მიერ შექმნილი და ორგინალური.

**კონკურსზე წარმოდგენილ ნამუშევრებს სპეციალური ჟიური შეაფასებს.**

**ჟიური შეარჩევს ნამუშევრების მოკლე სიას ვებ საიტზე გამოსაქვეყნებლად და გამოფენაზე წარსადგენად.**

## „ბიობანკები და სიცოცხლე დაავადებათა გარეშე“

ტერმინი "ბიობანკი", ჩვეულებრივ, შეეხება კარგად აღწერილი ბიოლოგიური მასალების ნიმუშების დიდ, ორგანიზებულ კოლექციას, რომელიც შეგროვილია სამეცნიერო მიზნებისთვის და შეიძლება მოიცავდეს ქირურგიული ბიოფსიის, სისხლისა და შრატის ნიმუშებს, სხვადასხვა ტიპის უჯრედებს და ღმ-ს<sup>1,2</sup>. ბიოლოგიური კოლექციების ერთ-ერთი მაგალითია გაერთიანებული სამეფოს ეროვნული ბიობანკი (<https://www.ukbiobank.ac.uk/>), რომელიც არის ფართომასშტაბიანი ბიოსამედიცინო მონაცემთა ბაზა და კვლევის რესურსი. აღნიშნული ბიობანკი მოიცავს იდენტიფიცირებულ გენეტიკურ, ცხოვრების წესის და ჯანმრთელობის ინფორმაციას და გაერთიანებული სამეფოს ნახევარი მილიონი მონაწილისგან მიღებულ ბიოლოგიურ ნიმუშებს. გარდა ამისა, საჯარო პოპულაციის პროექტი გენომიკაში (P3G, <http://www.p3g.org/>) განსაზღვრავს ბიობანკებს, როგორც ადამიანის ბიოლოგიური ნიმუშების და მასთან დაკავშირებული მონაცემების (როგორცაა სამედიცინო, ოჯახური, სოციალური და გენეტიკური) შეგროვების ინფრასტრუქტურას<sup>3</sup>.

### საკითხი:

**თქვენს ნამუშევრებში გამოხატეთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ბიობანკები ფუნდამენტური ბიოსამედიცინო მეცნიერებისთვის და პერსონალიზებული მედიცინისთვის, და რამდენად შეუწყობს ხელს მსგავსი, დიდი მონაცემთა ბაზები სიცოცხლეს დაავადებათა გარეშე.**

ნამუშევრის შექმნის დროს თქვენი არჩევანი თავისუფალია, შეგიძლიათ შეეხოთ ისეთ თემებს, როგორცაა: მონაცემთა დამუშავება, გენომის ანალიზი, ფუნქციური ანალიზი, გენომიკა, ეპიგენომიკა, მეტაბოლომიკა (სხვა ომიკები), გენოტიპიდან ფენოტიპამდე, ბიობანკების როლი დიაგნოზირებისა და მკურნალობის მოდელირებაში, პერსონალიზებული მიდგომები და ა.შ.

**ინსპირაციისთვის შეგიძლიათ გადახედოთ ნამუშევრებს შემდეგ ვებ საიტებზე:**

<https://www.rcpath.org/discover-pathology/competitions/art-of-pathology-competition.html>

<https://www.lji.org/art-competition/>

<https://www.cardiff.ac.uk/news/view/1479095-medical-students-display-their-creative-talents-at-the-national-museum-in-cardiff>

### პრიზები

პირველი ადგილი - 500 ლარი

მეორე ადგილი - 300 ლარი

მესამე ადგილი - 200 ლარი

ყველა მონაწილე მიიღებს მონაწილეობის სერტიფიკატს.

გამოყენებული წყაროები:

1. Porteri C. Management of the Ethical Aspects of a Local Mental Diseases Biobank for Research Purposes: The Italian Experience. In: Mascialoni D., editor. Ethics, Law and Governance of Biobanking: National, European and International Approaches. Springer; Dordrecht, The Netherlands: 2015. pp. 219–225
2. Malsagova K, Kopylov A, Stepanov A, Butkova T, Sinitsyna A, Izotov A, Kaysheva A. Biobanks-A Platform for Scientific and Biomedical Research. Diagnostics (Basel). 2020 Jul 16;10(7):485. doi: 10.3390/diagnostics10070485. PMID: 32708805; PMCID: PMC7400532.
3. Yuzbasioglu A., Kesikli B., Ozguc M. Biobanks as basis if individualized medicine: Challenges toward harmonization. In: Deigner H.-P., Kohl M.E., Fedor J., editors. Precision Medicine: Tools and Quantitative Approaches. Volume 4. Academic Press; London, UK: 2018. pp. 57–77.

## მნიშვნელოვანი თარიღები

---

**24 თებერვალი** – კონკურსის გამოცხადება

**18 აპრილი** – ნამუშევრების წარდგენის ბოლო ვადა

**25 აპრილი** – გამარჯვებულების გამოვლენა. შედეგები გამოქვეყნდება ვებ საიტზე: [www.geneticsgeorgi.org](http://www.geneticsgeorgi.org) და ფეისბუქ გვერდზე: [@geneticsgeorgia](https://www.facebook.com/geneticsgeorgia).

**შენიშვნა:**

დამატებით კითხვებთან დაკავშირებით მოგვმართეთ თსსუ-ის მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტში, ტელ: 599298168, ელ.ფოსტა: [geoepigene@gmail.com](mailto:geoepigene@gmail.com)

## შეფასება

---

ნამუშევრებს შეაფასებს ჟიური

შეფასდება შემდეგი კრიტერიუმები:

- შესაბამისობა კონკურსის თემასთან (5 ქულა)
- ტექნიკური შესაძლებლობები (5 ქულა)\*
- ორიგინალობა (5 ქულა)\*\*

ქულათა მაქსიმალური რაოდენობა - 15 ქულა

შეირჩევა სამი გამარჯვებული I, II და III ადგილებზე. ყველა მონაწილე მიიღებს მონაწილეობის სერტიფიკატს. გამარჯვებულები გამოვლინდებიან 25 აპრილს. მათი ფოტოები და ნამუშევრები გამოქვეყნდება ვებ საიტზე: [www.geneticsgeorgia.org](http://www.geneticsgeorgia.org).

**\*ტექნიკური შესაძლებლობებში იგულისხმება:**

ნახატის შემთხვევაში: ხატვის ტექნიკა, მათ შორის, ფერის, ფორმის, ჩრდილისა და განათების, სივრცისა და სიბრტყის ურთიერთდამოკიდებულება, კომპოზიციური განაწილება, დასრულებულობა, და ა.შ.

ციფრული გრაფიკის შემთხვევაში: ნამუშევრის ციფრული გარჩევადობა (dpi ან სხვა, დამოკიდებულია გამოყენებულ პროგრამაზე), ფერთა გარჩევადობა, რასტრული გამოსახულების მასშტაბირება, ვირტუალური სივრცის მოდელირება და ა.შ.

**\*\*ნაშრომი უნდა იყოს ავტორის მიერ შექმნილი და ორიგინალური**

**წარმატებას გისურვებთ!**